ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი

ისევე როგორც გასულ წლებში 2025-2028 წლებშიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული (კაპიტალური)

პროექტების დაფინანსება. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ფონდი. ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები ბოლო წლების ბიუჯეტების მიხედვით მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 38%-ს შეადგენდა.

ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე (2024 წლის 15 ნოემბერი), 2024 წელს განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებოთ საქართველოს მთავრობის მიერ არ არის მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხების გამოყოფის შესახებ“, შესაბამისი პროექტები არ არის ასახული ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში. პროექტები ბიუჯეტში აისახება საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი აქტის მიღების შემდგომ.

ქვემოთ მოცემული ინფრასტრუქტურული (კაპიტალური) პროექტები არის პროექტები, რომელთა დაფინანსებაც იგეგმება 2025 წელს. წარმოდგენილი პროექტებიდან ნაწილი არის მრავალწლიანი, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია და გაგრძლედება 2025 წლის განმავლობაში.

N	**პროექტების დასახელება**	***პროექტის სრული ღირებულება***	***პროექტის დაფინანსება 2024 წელს***	***პროექტის დაფინანსება 2025 წელს***
1	სოფლების: საკეცია-ჯვარისა-ქედისუბანი-ხონჭიორის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაციის, სოფ. გორში და სოფ. ძირაგეულში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები	864,000	485,832	378,168
2	სოფ.დიდ ჩორჯოში სასოფლო გზის რეაბილიტაცია	287,287	155,000	132,287
3	სოფ. აბარის ადგილობრივი დანიშნულების გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი	359,999	167,234	192,765
4	ამბროლაურის მუნიციპ. სოფ. ღვიარაში სასოფლო გზის რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუსაოები	744,744	346,213	398,531
5	ამბროლაურის მუნიციპ. სოფ. კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	838,900	625,060	213,840
6	მდინარე რიცეულაზე ნაპირსამაგრის მოწყობა (3 კედლის ჯამი)	1,333,323	450,000	883,323
7	სოფელ ხოტევში მდინარე ხოტეურაზე ნაპირსამაგრი	187,940	95,857	92,082
8	ამბროლაური-ხიმშის გზისათვის ნაპირსამაგრის მოწყობა	1,383,220	478,487	904,733
9	სოფელ კლდისუბანში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი	363,437	167,841	195,596
10	ამბროლაურის მუნიციპალიტ.სოფელ შხივანის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	2,249,997	546,000	1,703,997
	ჯამი	**8,612,847**	**3,517,524**	**5,095,322**